პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი | № 114 (10508) | ხუთშაბათი, 17 მაისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილება

სსრ კავშირის მთავრობის გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მოხდება საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვისა და შეიარაღების ახალი, მეტად დიდი შემცირება. ამ თავისი დიდმნიშვნელოვანი, ეშშარიტად ისტორიული ნაბიჯით საბჭოთა კავშირმა ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყო, რომ იგი მშვიდობის გულწრფელი და ერთგული დამცველია არა სიტყვით, არამედ საქმით.

როგორც სსრ კავშირის მთავრობის განცხადებაშია აღნიშნული, 1957 წლის 1 მაისამდე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები შემცირდება 1.200 ათასი კაცით, გარდა იმისა, რაც 1955 წელს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები შემცირდა 640 ათასი კაცით. ამის შესაბამისად დაიშლება 63 დივიზია და ცალკეული ბრიგადა, მათ შორის საბრძოლო ნაწილები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან, 30 ათასზე მეტი კაცის რაოდენობით. უნდა დაიშალოს აგრეთვე საბჭოთა არმიის სამხედრო სასწავლებლთა ნაწილი. კონსერვაციაზე იქნება დაყენებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის 375 საბრძოლო ხომალდი. შესაბამისად მცირდება შეიარაღებული ძალების შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა და ხარჯები სამხედრო საჭიროებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში. დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს მიეცემათ შესაძლებლობა მოეწყონ სამუშაოზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

გადადგა რა ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, საბჭოთა მთავრობა ისწრაფვის ხელი შეუწყოს განიარაღების პროგრამის პრაქტიკული განხორციელების საქმეს, რომელიც განსახილველად დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. როგორც ცნობილია, **განიარაღების კომისიის** ეგოიზმმა **ეს** ... **ეს** ... **ეს** ...

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის, კრეფისა და გადამუშავების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

★

ამ დღეებში შედგა ზუგდიდის რაიონის მოწინავე მეჩაიეების თათბირი, რომელმაც მოისმინა მტს-ის დირექტორის ამხ. ა. ჭეჟიას მოხსენება მეჩაიეთა გასული წლის მუშაობის შედეგებისა და მომავალი ამოცანების შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სოფელ რუხის კოლმეურნეობა „ახალი აბასთუმანის“ აგრონომმა მ. ყურაშვილმა, რუხის კოლმეურნეობის მერგოლურმა ც. თოდუამ, სოფელ კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა დ. რაფავამ, სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა რ. ქანთარიამ, სოფელ ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ჯ. ჯურღულიამ, კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ი. სვირავამ. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მ. დვინჯილია.

დასასრულ თათბირმა ერთსულოვნად მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ მეჩაიე კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკების, აგრონომების, ჩაის ფაბრიკების მუშების, მოსამსახურეებისა და ტექნოლოგებისადმი — მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის მოსავლის გადიდებისათვის, 1956 წელს ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ქვემოდ ქვეყნდება მიმართვის ტექსტი.

★

ძვირფასო ამხანაგებო!

სასიხარულო დღეებს განიცდიან ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კომუნიზმის აშენებლობის დიდებული პროგრამა დაგვისახა. საბჭოთა ხალხი, პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, შემოქმედებითად შრომობს, რომ ამრავლოს წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე. პარტიის XX ყრილობის დირექტივებით მეექვსე ხუთწლედში საბრძოლო ამოცანად დასახულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი ზრდა. დიდი ამოცანებია დასახული სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საქმეში, კვების პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვნად ზრდის საქმეში. პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში მკაფიოდ არის განსაზღვრული საქართველოს მეჩაიეთა ამოცანა.

ჩვენს რაიონში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, ჩაი სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურაა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მზრუნველობით საქართველოში მეექვსე მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა. ჩაი კოლმეურნეობების, კოლმეურნეების შემოსავლის ძირითადი წყაროა.

დადგა მეტად პასუხსაგები, დაძაბული მუშაობის პერიოდი ჩაის მეურნეობასა და მრეწველობაში. დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევით კრეფა. მალე კრეფა და ნედლეულის გადამუშავება მასობრივად გაჩაღდება. ჩაის კრეფა მეტად შრომატევადი სამუშაოა. ამას ისიც ერთვის, რომ წელს გაზაფხულის დაგვიანებით დადგომისა და ცივი ამინდების შედეგად შეფერხდა ჩაის ბუჩქების ზრდა-განვითარება და დაგვიანდა ჩაის საკრეფად შემოსვლა. ეს მდგომარეობა ჩვენგან — მეჩაიეებისაგან დამოუხოვს მაღალ ორგანიზებულობას მუშაობაში, მეტ მოქნილობას, მანევრირებას, ოპერატიულობას, თელი ძალების უნარიანად გამოყენებას, დაძაბულ შემოქმედებითს შრომას.

ჩვენი რაიონის მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მუშაობის პრაქტიკა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უდიდესი რეზერვები და შესაძლებლობანი აქვთ მოიყვანონ ჩაის მაღალი მოსავალი. ეს შეიძლება დავიანახოთ შემდეგი მაგალითებით: სოფელ რუხის კოლმეურნეობამ 1955 წელს 295 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.926 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.020 კილოგრამისა. კოლმეურნეობის ბრიგადირმა ალექსანდრე ფარულავამ 12,5 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 8.237 კილოგრამი და სახელმწიფოს ჩააბარა 102.975 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 62.500 კილოგრამისა. მერგოლურმა ა. ფარცვანიამ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 7.220 კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.660 კილოგრამისა.

სოფელ ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს 112 ჰექტარი მოსავლიანი პლანტაციიდან სახელმწიფოს ჩააბარა 440.300 კილოგრამი ფოთოლი და წლიური გეგმა შეასრულა 112,8 პროცენტით. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისა იყო 87,3 პროცენტი. კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ჭიჭიკო ჭურღულია ხელმძღვანელობს, სახელმწიფოს ჩააბარა 40.815 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34.000 კილოგრამისა და წლიური დავალება 120 პროცენტით გაანადა. მერგოლურმა ლენა თოდუამ ჩაის კრეფის გეგმა შეასრულა 158 პროცენტით და 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 7.500 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.700 კილოგრამისა.

სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ჩაი გაშენებული აქვს 252 ჰექტარზე. აქედან სრულმოსავლიანია 176 ჰექტარი. შარშან კოლმეურნეობამ დაამზადა 799.316 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 740.000 კილოგრამისა, საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 4.541 კილოგრამი, გეგმა კი 4.204 კილოგრამის მოყვანას ითვალისწინებდა.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ გასულ წელს სახელმწიფოს ჩააბარა 2.082.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.915.000 კილოგრამისა, ანუ გეგმის 108,7 პროცენტი. საშუალოდ ჰექტარზე მეურნეობაში მიღებულია 4.228 კილოგრამი ნედლეული, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 3.900 კილოგრამი ფოთლის მიღება.

მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ შრომის სწორი ორგანიზაციის და მაღალი აგროტექნიკის დანერგვის, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად შეიძლება მოვიყვანოთ ბარაქიანი მოსავალი პლანტაციების მთელ ფართობებზე.

მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სოფლის მეურნეობის მუშაკებს მიმართეს მოწოდებით — წარმატებით დაამთავრონ წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რადგან უკვე დადგა გადამწყვეტი მომენტი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალური შესრულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგში არა მარტო მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მოცულობით და ვადებში, არამედ აგრეთვე ვადამდე და გაკილებით მეტი რაოდენობით.

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდების პასუხად ვიანგარიშეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ ჩავებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ჩვენი მხრივ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1956 წელს სახელმწიფოს ჩავაბაროთ სულ 15.330.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.730.000 კილოგრამისა. 4.766 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 3.200 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.090 კილოგრამისა;

მტკიცედ დავიცვათ ჩაის კრეფის ვადები თვეების მიხედვით. მაისივნისში მოვკრიფოთ წლიური გეგმის 47 პროცენტი ნაცვლად 46 პროცენტისა, ივლისში — 25 პროცენტი ნაცვლად 23 პროცენტისა, აგვისტოში — 25 პროცენტი ნაცვლად 23 პროცენტისა და სექტემბერში მოვკრიფოთ 7 პროცენტი;

ჩაის ფაბრიკებში შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 4 პროცენტით, ერთი კილოგრამი მზა პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 2,2 პროცენტით;

უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა შევასრულოთ 3,7 პროცენტის გადაჭარბებით;

„საქართველოს თაიგულის“ პროდუქცია გამოვუშვათ 4,2 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,6 ტონისა;

უმაღლესი ხარისხის პირველი კატეგორია — 110 ტონა ნაცვლად 99,7 ტონისა;

უმაღლესი ხარისხის მეორე კატეგორია — 492 ტონა ნაცვლად 470,8 ტონისა;

პირველი ხარისხის პროდუქცია — 897 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 865 ტონისა;

მოვაწყოთ ჩაის პლანტაციების ოთხჯერ გათოხნა-კულტივაცია;

მტს-ის ძალებით ჩაის პლანტაციებში კულტივაცია ჩავატაროთ 4.800 ჰექტარზე, გაფხვიერება 1.800 ჰექტარზე, მინერალური სასუქების შეტანა 560 ჰექტარზე, ჩაის ფუმიგაცია 300 ჰექტარზე;

ჩაის პლანტაციებში შევიტანოთ მინერალური სასუქები 5.866 ჰექტარზე, ჩაის პლანტაციების რემონტი და აღდგენა ჩავატაროთ 180 ჰექტარზე, პლანტაციები ხელოვნურად მოვრწყოთ 100 ჰექტარზე;

მაისიდან განვახორციელოთ კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება.

მაღალი ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობამ იკისრა მიმდინარე წელს 141 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 4.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.900 კილოგრამისა.

სოფელ ჭითაწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 30.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ინგირის საბჭოთა მეურნეობის ვალდებულებაა წელს სახელმწიფოს ჩააბაროს 2.150.000 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.100.000 კილოგრამისა.

სოფელ რუხის კოლმეურნეობა „ახალმა აბასთუმანმა“ იკისრა 62 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს საშუალოდ 5.300 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.988 კილოგრამისა.

სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ სახელმწიფოს ჩააბაროს 670.000 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 618.000 კილოგრამისა.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ იკისრა 12 ჰექტარი ფართობიდან მიმდინარე წელს მოიყვანოს 110.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 92.000 კილოგრამისა.

სოფელ რუხის კოლმეურნეობის ვალდებულებაა სახელმწიფოს ჩააბაროს 1.647.000 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი, გეგმა კი 1.446.900 კილოგრამს ითვალისწინებს. ამ კოლმეურნეობის მერგოლურმა ციცი თოდუამ 5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ფართობიდან იკისრა მოიყვანოს 40.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36.000 კილოგრამისა.

ახლა ჩვენი ამოცანაა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ მოწინავეთა გამოცდილებას, ჩაის მაღალი მოსავლის ოსტატთა მუშაობის შესანიშნავი მეთოდებისა და ხერხების გავრცელებას. **1956 წელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების მასობრივად დანერგვის წელი უნდა გახდეს.** ეს დიდად შეუწყობს ხელს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში ჯერ კიდევ არიან ისეთი კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები, რომლებიც ჩაის ფოთლის დაბალ მოსავალს იღებენ. ამ ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ასეთ კოლმეურნეობებში სათანადოდ არ ზრუნავენ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის, პლანტაციებში საკმარ რაოდენობით არ შეაქვთ სასუქები, ბევრ შემთხვევაში ცუდად უვლიან პლანტაციებს, არღვევენ დამუშავების აგროტექნიკურ ვადებს, დროულად არ კრეფენ ფოთოლს, ეხვდებით ფოთლის გაუხეშებას, დანაკარგებს. ცალკეული კოლმეურნეობები, ბრიგადები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ ყოველმხრივ არ არიან მომზადებულნი ჩაის საკრეფად. პარტია გვასწავლის, რომ ყოველთვის წინ უნდა ვიხედებოდეთ, კრიტიკულად ვაფასებდეთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს, თავის დროზე ვასწორებდეთ მათ.

ჩაის წარმოების გადიდების მთავარი რეზერვია კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის სწორად განხორციელება, ჩაის პლანტაციების დამუშავებაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენება. ამ რეზერვების სრულად გამოყენება საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ სხვა, არანაკლები მნიშვნელობის ამოცანა — შევამციროთ პროდუქციის ერთეულზე შრომადღეებისა და სახსრების ხარჯვა.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩაის ფოთოლი მოიკრიფოს თავის დროზე, არ დავუშვებთ მის გაუხეშებას, დანაკარგებს. ამ მიზნით დავნერგავთ ჩაის ფოთლის ყოველდღიურ, განუწყვეტელ კრეფას ამინდის ყოველგვარ პირობებში, რისთვისაც ჩაის პლანტაციებში მოვაწყობთ 120 ახალ თავშესაფარ ფარდულს და შევიძენთ საწვიმარებს.

არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ იმ მავნე პრაქტიკას, როგორიც იყო წინა წლებში, როცა ჩაის ფოთოლი უფრო მეტი იკრიფებოდა თვის ბოლოს, ვიდრე თვის დამდეგს და შუა რიცხვებში. ჩაის კრეფაში იერიშობანას ზიანი მოაქვს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებისათვის, იწვევს ჩაის ფაბრიკების არათანაზომიერ მუშაობას, აფერხებს ნედლეულის დროულად გადამუშავებას, დაბლა სწევს პროდუქციის ხარისხს.

ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, თუ რა დიდი ამოცანები დგას ჩაის ფაბრიკების კოლექტივების წინაშე. ამიტომ მტკიცედ დავიცავთ ფაბრიკებში სანიტარულ პირობებს, ტექნოლოგიურ რეჟიმს. ამასთან არ ვივიწყებთ, რომ ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა თვით პლანტაციებში წყდება. **ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო სტანდარტის ზუსტად დაცვას.**

საბალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი ძალაა სოციალისტური შეჯიბრება. წელს ამ შეჯიბრებას ახლებურად მოვაწყობთ და საქმით ვიბრძოლებთ ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის. კარგად გვახსოვს, რომ რაკი ვალდებულება ვიკისრეთ, იგი უნდა შევასრულოთ, რაც უნდა მოხდეს. მივაღწევთ იმას, რომ თვითეული კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს ჩაის კრეფის ყოველდღიურ გეგმას. სამუშაოთა პერიოდების მიხედვით მოვაწყობთ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ურთიერთ შემოწმებას, ვიბრძოლებთ საერთო აღმავლობის მიღწევისათვის.

საქართველოს მეჩაიე კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს, აგრონომებს, ჩაის ფაბრიკების მუშებს, მოსამსახურეებსა და ტექნოლოგებს მივმართავთ წინადადებით ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს — 1956 წელს ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, ჩაის კრეფა-დამზადებისა და გადამუშავების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. მოგიწოდებთ, ამხანაგებო, არ დავიშუროთ ჩვენი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ ჩვენს დიად ქვეყანას მივცეთ მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

მოწინავე მეჩაიეების რაიონული თათბირის მონაწილეთა დავალებით: მ. **დვინჯილია** — საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, **ბ. ესართია** — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ა. კუტალია** — რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში, **ა. ჭეჟია** — მტს-ის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, **თ. ყუფუნია** — ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, **კ. შენგელია** — მტს-ის მთავარი აგრონომი, **ა. როგავა** — რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, **შ. ქადარია** — ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, **დ. ხოროვსკაია** — ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მკრეფავი, **ქ. სარსანია** — ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავი, სოციალისტური შრომის გმირი, **შ. ჩილაჩავა** — ზუგდიდის ჩაის პირველი ფაბრიკის დირექტორი, საბჭოთა კავშირის გმირი, **ი. ქანთარია** — ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, **ა. როგავა** — ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ლ. პაველიანი** — კორცხელის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, **ნ. ჩხოლარია** — საქართველოს ალკვ ზუგდიდის რაიკომის მდივანი, **ლ. კვარაცხელია** — მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, **ვ. სვირავა** — კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი, **თ. ბურჭულაძე** — ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევი სრულიად საკავშირო ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, **მ. ბაკარაძე** — კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, **პ. შენგელია** — ჭაქვინჯის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილების შემდგომი განმტკიცებისათვის

★ ★ ★

მაღალი პოლიტიკური შეგნებით

ბოორი. (საკ. კორ.). ქალაქ გორში და გორის რაიონის სოფლებში წარმატებით დაიწყო ხელისმოწერა ახალ სახელმწიფო სესხზე.

სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე სოფელ ატენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა შ. ფანიშვილმა, გამოხატა რა ატენელ კოლმეურნეთა აზრი, განაცხადა:

— სიამოვნებით ვაწერ ხელს ახალ სახელმწიფო სესხს, რადგან ვიცი, რომ იგი მოხმარდება ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

შ. ვანიშვილმა სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შესაძენი თანხა მაშინვე შეიტანა. ასევე ნაღდი ფული შეიტანეს კოლმეურნეებმა ზ. ვანიშვილმა, რ. ჩიხლაძემ, ი. დავითაშვილმა, ვ. პავლიაშვილმა და სხვებმა.

ატენელმა კოლმეურნეებმა ახალ სესხს ერთსულოვნად მოაწერეს ხელი და თანხა ხელისმოწერისთანავე დაფარეს.

სესხი დიდი წარმატებით ვრცელდება ქალაქ გორში და გორის რაიონის სოფლებში.

მშვიდობიანი მშენებლობისათვის

საამქროებში მანქანების ბუგუნი შეწყდა. დამთავრდა პირველი ცვლის მუშაობა. მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები საქსელე და საპრეტენზიო საამქროების ვრცელ დარბაზებში შეიკრიბნენ ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგებზე.

— საბჭოთა სახელმწიფო, — განაცხადა მიტინგზე მოსამზადებელი საამქროს ოსტატის თანაშემწემ ვ. მჭედლიშვილმა, — კოლოსალურ სახსრებს ხარჯავს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს, სიამოვნებით ვაძლევ საკუთარ შრომითს დანაზოგს ჩვენს სახელმწიფოს. — მან საამქროს კოლექტივის სახელით ვალდებულება იკისრა სულ უფრო მზარდი რაოდენობით მისცენ სამშობლოს მაღალი ხარისხის პროდუქცია, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

— მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას, — თქვა მოწინავე მქსოველმა კომკავშირელმა ე. ნეპოჩტოვამ, — უკეთესი შრომითი მაჩვენებლებით ვუპასუხებ. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სახელმწიფო სესხს, ამით ჩემს წვლილს შევიტან სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს მუშა-ინსტრუქტორმა ვ. სოროკინამ, მოწინავე მქსელავმა ლ. ოპაროვამ, მქსოველმა თ. ჯიოევამ, ინსტრუქტორმა მ. მერაბიშვილმა და სხვებმა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი ახალ სესხს.

მხურვალე პატრიოტიზმის გრძნობით

ჭიათურა. (საკ. კორ.). მშრომელთა მაღალი პატრიოტიზმის ნიშნით მიმდინარეობს ახალ სახელმწიფო სესხზე ხელისმოწერა ჭ. ჭიათურაში.

— ახალი სესხი, — თქვა ლენინის სახელობის მაღაროს ნოვატორმა მბურღავმა გ. თოდაძემ, — მოხმარდება ჩვენი საშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. ამიტომ ჩვენ, მაღაროელები, სიამოვნებით მოვაწერთ ხელს ახალ სესხს, ამასთან გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ, რათა მშობლიურ მეტალურგიას სულ უფრო მზარდი რაოდენობით მივცეთ მარგანეცი.

ახალ სესხზე ხელისმოწერა ქალაქში ძირითადად პირველ დღესვე დამთავრდა.

მთელი გულით

რუსთავი. (საკ. კორ.). უჩვეულო გამოცოცხლება იყო 14 მაისს ქართველ მეტალურგთა ქალაქის საწარმოებში და საამშენებლო ობიექტებზე, ათასობით მუშა და მოსამსახურე შეიკრიბა მიტინგებზე, რომლებიც ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებას მიეძღვნა. ტრიბუნებზე ერთმანეთს ცვლიდნენ მეფოლადეები, მგლინავები, მშენებლები. ისინი ერთსულოვნად იწონებდნენ ახალი სესხის გამოშვებას, გამოთქვამდნენ თავიანთ მზადყოფნას ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას.

მარტენის საამქროში გამართულ მიტინგზე ცნობილმა ჩქაროსანმა მეფოლადემ ა. ფანცულაიამ განაცხადა:

— სულით და გულით ვაწერ ხელს ახალ სახელმწიფო სესხს. საყვარელ სამშობლოს სიამოვნებით ვაძლევ სესხად ჩემს შრომითს დანაზოგს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს თანხა მოხმარდება მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დიადი პროგრამის განხორციელებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას და მშვიდობის განმტკიცებას, ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი, უფრო ბედნიერი დღის — კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეს.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და სახელმწიფო სესხს ხელი მოაწერეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მეფოლადე ი. სამცოვმა, უფროსმა ელექტრიკოსმა ნ. ზემლიანოვმა, ამწეს მემანქანემ ს. ბიწკინაშვილმა, მექანიკოსმა ს. კოსტაკოვმა და სხვებმა.

მშრომელთა დანაზოგები

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში გაიმართა ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგები.

საავტომობილო ქარხნის რუხი თუჯის საამქროს მუშებმა დ. დიდიძემ, კ. ცომაიამ და შ. კილაძემ ერთსულოვნად მოაწერეს რა ხელი ახალ სესხზე, პირობა დადეს გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

— როგორც წინათ გამოშვებული სესხები, — განაცხადა საკონსერვო ქარხნის მთავარი საამქროს მუშამ ბ. ნიკოლეიშვილმა, — ეს სესხიც ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებას, ჩვენს უკეთეს მომავალს მოხმარდება. ამიტომ ჩემს დანაზოგს სიამოვნებით ვაძლევ სესხად საბჭოთა სახელმწიფოს.

ახალი სესხის გამოშვებას მოწონებით შეხვდნენ მანქანათმშენებელი, ლიტოპონის, შუშის ტარის ქარხნების, მაუდის, საკონდიტრო ფაბრიკების, აბრეშუმისა და ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატების, რკინიგზის კვანძისა და ახალმშენებლობათა კოლექტივები, მთელი ქალაქის მშრომელები.

ხალხის საკეთილდღეოდ

სამტრედია. (საკ. კორ.). საყვირის ხნამ აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშებს პირველი ცვლის მუშაობის დამთავრება აუწყა. მთავარ საამქროში ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე 400-მდე მუშა-მოსამსახურე შეიკრიბა.

სიტყვა აიღო წარჩინებულმა მუშამ ძაფის ამომღებმა ნ. ჯანაშიამ. მან განაცხადა:

— ჩვენი ქვეყანა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ, სწრაფად ხორციელდება ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. ახალი სესხი მიმართულია ხალხის ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისაკენ. ხალისით ვაწერ რა ხელს ახალ სესხს, პირობას ვდებ აბრეშუმის ძაფის ამოღების ყოველდღიური დავალება გადაჭარბებით შევასრულო.

სესხზე ხელისმოწერა დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს რაიონის სოფლებში. სოფელ ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მიტინგის ჩატარებისთანავე გაჩაღდა სესხზე ხელისმოწერა. კოლმეურნეები სესხის ობლიგაციების ღირებულებას ნაღდად ფარავენ.

წერილები რედაქციას

კერძების მაგივრად დაპირებებით გვკვებავენ

ჩვენი სასადილო, რომელიც 800-ზე მეტ კაცს ემსახურება, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მექანიკური ქარხნის სასადილოს ღია ქსელის ფილიალია. ამ ქარხანაში მომუშავეთა რაოდენობა ორას კაცს არ აღემატება. გაერთიანებული სასადილოს გამგე ა. ქოროღლიშვილი სასადილოს ღია ქსელით უფროა დაინტერესებული და მას მეტი რაოდენობით აწვდის კვების ხარისხიან პროდუქტებს, გადარჩენილი კი მოაქვს ჩვენთან, დახურულ ქსელში. გარდა ამისა, ქოროღლიშვილი არავითარ ზედამხედველობას არ უწევს ჩვენს სასადილოს.

სასადილო მინიმალურადაც არ მარაგდება ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, ამის გამო ბევრი მომუშავე უსადილოდ რჩება. არ არის ბოსტნეული კერძებისათვის, თევზი და თევზის პროდუქტები, რძე და საკონდიტრო ნაწარმი, მინერალური წყლები, ლიმონათი. სასადილოში (ფილიალში) გვაკლია ჭურჭელი, დანა-ჩანგალი.

ყველა ეს ფაქტი დროულად ვაცნობეთ თბილისის სასადილოების მარცხენა ნაპირის მეორე ტრესტის დირექტორის მოადგილეს ამხ. გაბედავას და ვთხოვეთ დაგვხმარებოდა სასადილოს მუშაობის გაუმჯობესებაში. იგი სიტყვიერად ყველაფერს გვპირდებოდა, საქმით კი არ გვეხმარებოდა.

19 მარტს მოვიწვიეთ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. დღის წესრიგში იყო საკითხი: პარტიისა და მთავრობის დადგენილება საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და ჩვენი სასადილოს მუშაობა. ამ კრების მოწვევის დრო რამდენიმე დღით ადრე ვაცნობეთ მარცხენა ნაპირის სასადილოების მეორე ტრესტის დირექტორს ამხ. კუხალეიშვილს და მის მოადგილეს ამხ. გაბედავას, ვთხოვეთ დაგვსწრებოდნენ. ისინი შეგვპირდნენ მოსვლას, მაგრამ კრებას ტრესტის არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია და საკითხიც მოიხსნა დღის წესრიგიდან (არც სასადილოს გამგე ქოროღლიშვილი მოვიდა).

მეორე დღეს ვუსაყვედურეთ ამხ. გაბედავას, ვთხოვეთ ადგილზე გასცნობოდა სასადილოს მუშაობას, მიეღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ტრესტის ოთხი წარმომადგენელი, მათ შორის ამხ. გაბედავაც. ისინი გაეცნენ მდგომარეობას და აღგვითქვეს სასადილოს მუშაობის გაუმჯობესება.

26 მარტის მრძანებით ტრესტის დირექტორმა კუხალეიშვილმა ჩვენი სასადილო დამოუკიდებელ ობიექტად დაამტკიცა. საქმე ამას აღარ გასცილებია. ჩვენი საწარმოს ხელმძღვანელობამ სასადილოს გაფართოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი სამუშაოები შეასრულა, მაგრამ ტრესტის ხელმძღვანელები დაპირებას არ ასრულებენ. უკანასკნელ ხანებში სასადილოს მუშაობა კიდევ უფრო გაუარესდა.

მ. ბავაშელი,
თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეორე რაიონის პარტბიუროს მდივანი.

ა. ლაფანაშვილი,
მეორე დეპოს უფროსი.

ა. ბურჭულაძე,
ადგილკომის თავმჯდომარე.

* * *

რედაქციისაგან. ჩვენმა თანამშრომელმა ადგილზე შეამოწმა ამ წერილში მოყვანილი ფაქტები. გამოირკვა, რომ სასადილოს გამგე ქოროღლიშვილი შეუფუნარებელი უპასუხისმგებლობითა და გულგრილობით ეკიდება თავის მოვალეობას — ტრამვაიელებს მდარე ხარისხის პროდუქტებს აწვდის. ამას წინათ 8 კილოგრამ ძეხვზე 350 გრამი თოკებისა და ძეხვის თავის წანაჭრები დაუწონეს ფილიალის მზარეულს. მიღებული 720 ცალი კვერცხიდან არც ერთი ცალი არ მისცეს სასადილოს ფილიალს. გასული წლის დეკემბრიდან აქ არ მიუღიათ კარტოფილი, სისტემატურად აკლიათ პური, რაც მოაქვთ, ისიც ძველი სამი-ოთხი დღისაა.

ტრესტის ხელმძღვანელები კუხალეიშვილი და გაბედავა არაერთხელ დაპირდნენ ტრამვაელებს ფილიალის მუშაობის გაუმჯობესებას. ფორმალურად კიდევაც იძლეოდნენ განკარგულებებს, მაგრამ შემდეგ აღარ ამოწმებდნენ, ასრულებდა ვინმე თუ არა ამ განკარგულებებს. ასე მოუვიდა 26 მარტის მრძანებასაც ფილიალის დამოუკიდებელ სასადილოდ გამოყოფის შესახებ. იგი დღემდე არ არის შესრულებული, სასადილოს მარტო ნომერი მიაკუთვნეს, გამგე ჯერაც არ არის დანიშნული, თუმცა დირექტორმა მრძანებით უკვე ბევრი რამ დაავალა არარსებული სასადილოს არარსებულ გამგეს.

წერილის შემოწმების მომენტიდან, როცა ამხ. კუხალეიშვილმა და გაბედავამ ტრამვაელებს აკლვა აღუთქვეს თავიანთი პირობის განადგურება, რამდენიმე კვირა გავიდა, დაპირება კი ისევ შეუსრულებელია.

ხაზგასმა საჭიროა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ჩარევა, რათა მოაგონოს მარცხენა ნაპირის სასადილოების მეორე ტრესტის ხელმძღვანელებს, რომ დაპირებებით კი არ უნდა კვებავდნენ მშრომელებს, არამედ გემრიელი კერძებით.



საქლიტფონდმა თბილისში მწერლებისათვის ააშენა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. სურათზე: მწერალთა ახალი საცხოვრებელი სახლის ხედი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

★

პრემიერა კინოფილმისა „ორი ოკეანის საიდუმლოება"

რითგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თბილისში დიდი წარმატება ჰქონდა ახალ ფანტასტიკურ-სათავგადასავლო ფილმს „ორი ოკეანის საიდუმლოება". ეს ფილმი, რომლის დამდგმელია რეჟისორი ვ. პპაინოშვილი, გამოუშვა თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა". სცენარი ა. ადამოვის ამავე სახელწოდების რომანის მოტივების მიხედვით დაწერეს ვ. ალექსეევმა და ნ. როკოვმა კ. პიპინოშვილის მონაწილეობით.

კინოფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება" მიიღო სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მზატვრული ფილმების წარმოების მთავარმა სამმართველომ. ფილმის გასინჯვაზე, რომელიც მთავარ სამმართველოში მოხდა, მოწვეული იყვნენ სპეციალისტი მეზღვაურები. იმასთან დაკავშირებით, რომ ფილმმა მაღალი შეფასება მიიღო, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა გამოუშვას მისი მეორე სერია და, ამრიგად, სურათი საკავშირო ეკრანზე გამოშვებულ იქნება ერთბაშად ორ სერიად.

გადამღებთა კოლექტივი უკვე შეუდგა მეორე სერიის გადაღებას, რაც უნდა დამთავრდეს აგვისტოში. ჯერ კი პირველი სერია უჩვენეს კინოკატორის სახლში, „მოსფილმის" სტუდიის ახალგაზრდობას, კინოფილმების დირექტორების სემინარის მონაწილეებს და სხვებს.

ახლახან მოსკოვის კინოს სახლის საბჭომ მოაწყო კინოფილმის „ორი ოკეანის საიდუმლოების" გასინჯვა. გასინჯვაზე მოსკოვში ჩამოვიდნენ ფილმის რეჟისორ-დამდგმელი კ. პიპინოშვილი, მთავარი ოპერატორი ფ. ვისოცკი და ლენინგრადის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის არტისტი ი. ვლადიმიროვი. გარდა ამისა, პრემიერაზე, რომელშაც მრავალრიცხოვანი საუდიტორია მიიზიდა, მოვიდა იგრეთვე ჯგუფი მოსკოველი მსახიობებისა, რომლებიც გადაღებული არიან როლებში — ს. გოლოვანოვი, ბ. სობოლევსკი, ა. მაქსიმოვა, მ. გლუზსკი, ს. კომაროვი, ტ. დობროტვორსკი, ი. პრეისი, ა. პიროგოვი.

სურათის გასინჯვის დღისათვის კინოს სახლში მოეწყო სტენდი, რომელზეც გამოფენილი იყო ცალკეული კადრები ფილმიდან, ჯგუფის წევრთა ფოტოსურათები და სხვ.

შესავალ სტატიაში აღინიშნა, რომ კინოს სახლში სულ უფრო ხშირად ხდება თბილისის კინოსტუდიის სურათების განხილვა და შემდეგ ეს სურათები გამოდის დედაქალაქის კინოეკრანებზე.

გასინჯვის დამთავრების შემდეგ ფილმის კოლექტივის წარმომადგენლებს გულთბილად მიულოცა გამარჯვება დედაქალაქის კინოს ბევრმა მოღვაწემ.

ს. რიფინაშვილი.
მოსკოვი.

დრამატული კოლექტივის დადგმები

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის ეუბნათა კლუბთან არსებობს დრამატული კოლექტივი, რომელშიც შედიან მეშახტე სცენისმოყვარეები. მათი ძალებით დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა „გლახის ნაამბობი" და „და-ძმა".

ამ დღეებში კოლექტივმა დადგა ახალი სპექტაკლი — გ. პატარაიას ოთხმოქმედებიანი კომედია „უჩა უჩარია". პრემიერას მაყურებელი მოწონებით შეხვდა. როლების ოსტატური შესრულებით გამოირჩეოდნენ ქ. კუპრაშვილი, ნ. გიგაშვილი, ა. სიმონგულოვი, კ. ცქიფურიშვილი, ა. ცხადაძე, ვ. ოდილაძე, მ. გვენეტაძე, ვ. გიორგობიანი და სხვები.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„როდემდის გაგრძელდება ასე"

„კომუნისტის" 4 აპრილის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის საფოსტო განყოფილების მუშაობა. წერილში აღნიშნული იყო ეურნალ-გაზეთების დაგვიანებით მიღებისა და დაკარგვის ფაქტები.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის ბიუროს განიხილა „კომუნისტში" გამოქვეყნებული კორესპონდენცია. კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაიკომის ბიუროს დაავალა კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის უფროსს ამხ. შიხიაშვილს უახლოეს დღეებში უზრუნველყოს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარჯიული განათლების სისტემაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მოქმედების საბრძოლო პროგრამაა კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. ყრილობის გადაწყვეტილებებმა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობა და საწარმოო ენთუზიაზმი გამოიწვია მუშათა ფართო მასებში. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა შეაიარაღონ კომუნისტები, ყველა მშრომელი ამ გადაწყვეტილებათა ცოდნით, უზრუნველყონ ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაიხილეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. უკანასკნელ პერიოდში ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნარიანად მოაწყო პროპაგანდისტული მუშაობა, ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას პროპაგანდისტული მუშაობის მავნე მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანებისაგან და მთელი იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას, სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს.

პოლიტსკოლებში, წრეებში, თეორიულ სემინარებზე და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში მიმდინარე წლის მარტიდან ფართოდ გაიშალა XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა. ჭიათურის საქალაქო, მახარაძის, ზესტაფონის რაიონულმა და სხვა პარტიულმა კომიტეტებმა ხერხიოსული მუშაობა გასწიეს ამ მიმართულებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს კომუნისტების პოლიტიკური სწავლებისადმი ხელმძღვანელობა.

მაგრამ ასე როდი შეიძლება ითქვას ყველა პარტიულ ორგანიზაციაზე. წითელწყაროს, გეგეჭკორის, ქუთაისის და გარდაბნის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ ბევრ წრესა და სემინარში ყრილობის მასალების შესწავლის საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. წითელწყაროს რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ყრილობის მასალების შესწავლა აპრილშიც კი არ იყო დაწყებული. საყულიის საკოლმეურნეო და გუმათაჩესის პარტორგანიზაციებთან არსებულმა წრეებმა ყრილობის მასალების „შესწავლა" ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში დაამთავრეს. რით აიხსნება ეს, თუ არა ქუთაისის რაიკომის არასწორი მითითებით? ყრილობის მასალების შესწავლა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე გეგეჭკორის, სადაც საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებთან არსებულ ბევრ წრესა და სემინარში მეცადინეობა იმართება დაბალ იდეურ დონეზე, განყენებულად, პრაქტიკისაგან მოწყვეტით. ზოგიერთი პროპაგანდისტი კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს ვერ იცნობს და მათ შესასრულებლად კომუნისტებს ვერ რაზმავს. თვითდინებაზეა აგრეთვე კომუნისტების დამოუკიდებლად სწავლება.

მიმდინარე სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში დასასრულს უახლოვდება. ცნობილია, რომ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად მთავრდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებულ ვადაზე — 1 ივნისს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

პოლიტსკოლებში, ყველა ტიპის წრეებსა და საღამოს პარტიულ სკოლებში უნდა მოეწყოს 1-2 შემაჯამებელი მეცადინეობა სკკპ XX ყრილობის მასალების მიხედვით. შემაჯამებელ მეცადინეობებზე ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ ამოცანებს — პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას და სახელმწიფო გეგმების შესრულებას, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების შედგომ ზრდას. თეორიულ სემინარებში სასწავლო წელი მთავრდება მეცადინეობით სკკპ XX ყრილობის მასალების მიხედვით. სადაც მაისის ბოლომდე ვერ მოასწრებენ სკკპ XX ყრილობის მასალების მთლიანად შესწავლას, იქ, მსმენელებთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია მეცადინეობა გაგრძელდეს ზაფხულში ან გადატანილ იქნას ახალი სასწავლო წლისათვის. ამასთან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ყრილობის მასალების შესწავლის საქმეში აჩქარება შეთვისების ხარისხის საზიანოდ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის მიზანშეწონილია მიეწყოს შემაჯამებელი თეორიული კონფერენციები, კოლექტიური გასაუბრება ან სემინარული მეცადინეობა სკკპ XX ყრილობის მასალების მიხედვით. კოლექტიური გასაუბრება და სემინარული მეცადინეობა ისე უნდა მოეწყოს, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყრილობის მასალებიდან ძირითადი საკითხების გაშუქებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მოეწყობა გამოცდები პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმსა და სკკპ ისტორიაში. გამოცდებზე (განსაკუთრებით სკკპ ისტორიაში) მსმენელებს მოეთხოვებათ იცოდნენ XX ყრილობის მასალები და ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც განმარტავენ მარქსისტულ-ლენინურ დებულებას ისტორიაში, კომუნიზმის მშენებლობაში ხალხის მასებისა და პიროვნების როლის შესახებ.

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ პოლიტსკოლებში, წრეებში, საღამოს პარტიულ სკოლებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში უნდა გაიმართოს მსმენელთა კრებები პარტიული ორგანიზაციების მდივნების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მუშაკთა მონაწილეობით. ამ კრებებზე განხილულ უნდა იქნას პოლიტსკოლების, წრეების, საღამოს პარტიული სკოლების და საღამოს უნივერსიტეტების მუშაობის შედეგები.

საკითხი პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგების შესახებ მიზანშეწონილია განხილულ იქნას აგრეთვე საერთო პარტიულ კრებებზე. მკაცრად უნდა იქნას გაკრიტიკებული პროპაგანდისტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ამ მუშაობის სერიოზულად გაუმჯობესებას, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან მისი კავშირის გაძლიერებას.

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ სასურველია მოეწყოს პოლიტსკოლებისა და წრეების პროპაგანდისტთა, კონსულტანტთა და თეორიიანი სემინარების ხელმძღვანელთა რაიონული, საქალაქო თათბირები, რომლებზეც განხილული იქნება სასწავლო წლის შედეგები და პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

სასწავლო წლის შედეგების განხილვის და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ღონისძიებათა დასახვის დროს საჭირო იმის გათვალისწინება, რომ მომავალ სასწავლო წელს სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლამ უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს პარტიული განათლების მთელ სისტემაში. ამასთან ახალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კადრების ეკონომიურ განათლებას სკოლებში, სემინარებში, წრეებში, აგრეთვე თვითგანათლების გზით.

პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

ა. კევლიშვილი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი.

უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის მთავრობის განცხადებისადმი ინდოეთსა და ინგლისს შორის ურთიერთობის განმარტების საკითხზე

ინგლისი

ლონდონი, 15 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მთავრობის განცხადება განიარაღების საკითხზე ინგლისის პრესას ყურადღების ცენტრშია. „ტაიმსი", „ნიუს ქრონიკლი", „დეილი ჰერალდი", „დეილი უორკერი" და სხვა გაზეთები ცნობებს ამ თემაზე აქვეყნებენ თვალსაჩინო ადგილზე, განსაკუთრებით გამოჰყოფენ რა საბჭოთა მთავრობის დადგენილებას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის 1.200 ათასი კაცით შემცირების შესახებ, გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას სათაურებში. მაგალითად, „დეილი ჰერალდი" უკეთებს სათაურს მთელ გვერდზე: „რუსეთი ამცირებს თავის შეიარაღებულ ძალებს".

ყველა გაზეთს მოჰყავს ვრცელი ამონაწერები სსრ კავშირის მთავრობის განცხადებიდან, აღნიშნავს რა, კერძოდ, იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა მზად იქნება განიხილოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების საკითხი, თუ დასავლეთის სახელმწიფოები, თავის მხრივ, განახორციელებენ თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესაბამის შემცირებას.

ლონდონის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ — შეამციროს შეიარაღებული ძალები 1.200 ათასი კაცით. რადიო აღნიშნავს, რომ ეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მეორე შემცირებაა ამ ბოლო დროს.

გაზეთი „დეილი უორკერი" წერს: „მისცა რა ეს შთამაგონებელი მაგალითი, საბჭოთა კავშირმა გამოიწვია ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა, რათა მათ მიბაძონ მას, თუ ნამდვილად სურთ განმტკიცონ მშვიდობა. ეს, იცხადებს გაზეთი, შექმნიდა „რეალურ წინამძღვრებს ინდოათვის, რომ. რაც შეიძლება მალე იაკრძალოს იარაღი, რომელიც კოშმარია მთელი მსოფლიოსათვის, ე. ი. ატომური და წყალბადის ბომბები. ფაქტიურად სსრ კავშირმა შემოგვთავაზა შეეგიბრების საუკეთესო სახეობა, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, სახელდობრ, შეეკიბრება განიარაღების საქმეში საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის".

საბჭოთა მთავრობის დადგენილება შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ აო ეკუშინა ინგლისის პრესის ზოგიერთ ორგანოს, რომლებიც ასახავენ იმ წრეების პოზიციას, რომლებიც დაინტერესებული არ არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით და ცდილობენ მოლაპარაკება განიარაღების შესახებ გამოიყენონ მხოლოდ როგორც შირმა გამალებული შეიარაღების დასაფარავად. ირსებითად არ უკეთებენ რა კომენტარს სსრ კავშირის მთავრობის განცხადებას, პრესის ეს ორგანოები ყოველნაირად ცდილობენ შეამცირონ მისი მნიშვნელობა.

ამასთან შესამჩნევია, რომ ამ გაზეთების კომენტატორებისათვის ძნელია წამოაყენონ რაიმე არსებითი მოსაზრება საბჭოთა განცხადების წინააღმდეგ და ამიტომ ისინი ეძებენ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილების სხვადასხვაგვარ „ახსნას", გვერდს უქცევენ რა, იმავე დროს, სსრ კავშირის თავრობის ნამდვილ მიზნებს: მოხდეს სიტყვებიდან საქმეზე გადასვლა განიარაღების საკითხში. მაგალითად, გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" აყენებს „მოსაზრებას", რომლის თანახმად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიზეზი თითქოს ის არის, რომ საბჭოთა მთავრობას „განზრახული აქვს უფრო კომპაქტური გახადოს თავისი შეიარაღებული ძალები ატომური არმიის შექმნის ახალი კონცეპციის შესაბამისად".

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისუს საგარეო საქმეთა სამინისტრო „დღეს ოფიციალურად მიესალმა საბჭოთა კავშირის განცხადებას საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 1.200 ათასი კაცით შემცირების შესახებ".

ლონდონი, 15 მაისი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში შეკითხვების დროს მთელმა რიგმა ლეიბორისტებმა მთავრობას ყურადღება მიაქციეს ნატო-ს სამხედრო ხარჯების ჯერ კიდევ მაღალ დონეს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა. ამასთან დაკავშირებით მათ მოითხოვეს სამხედრო ხარჯების შემცირება.

საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ნატენგმა თავის პასუხში განაცხადა, რომ ნატო-ს საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე პარიზში არ გადაუსინჯავთ ხარჯები, რომლებიც საბჭომ დაიწესა გასული წლის დეკემბერში.

ლეიბორისტმა კ. ინნგერმა თქვა, რომ დაიგა დრო გადაისინჯოს ნატო-ს სამხედრო ხარჯები. ე. მინუელმა მოითხოვა სამხედრო მდგომარეობის გადიფასება, ხოლო ემრის ჰიუზმა, აღნიშნა რა ცვლილებები, რომლებიც საერთაშორისო მდგომარეობაში მოხდა, იკითხა, წარმოადგენს თუ არა ჩერჩილის ახსენის სიტყვა მთავრობის თვალსაზრისს. ნატენგმა არ უპასუხა ამ კითხვაზე.

ინდოეთი

დელი, 15 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მთავრობის განცხადებას განიარაღების საკითხზე ცენტრალური ადგილი უკავია უცხოეთის ცნობებს შორის, რომლებიც დღეს გამოაქვეყნეს ინდოეთის გაზეთებმა.

გაზეთმა „ინდუსტან სტანდარტმა" საბჭოთა მთავრობის გამცხადება მოათავსა პირველი გვერდის ყველაზე თვალსაჩინო ადგილის დიდი სათაურებით: „საბჭოთა შეიარაღებული ძალების დიდი შემცირება. ახალი ნაბიჯი განიარაღებისაკენ. 63 დივიზია დაშლილ იქნება".

გაზეთმა „ტაიმს ოფ ინდიამ" საბჭოთა კავშირის განცხადებას წარუმძღვარა დიდი სათაური: „რუსეთი მოახდენს 1.200 ათასი კაცის დემობილიზაციას. ახალი წელილი განიარაღების საქმეში".

პოლონეთი

ვარშავა, 15 მაისი. (საკდესი). „ტრიბუნა ლუდუ", „გლოს პრაცა", „ეტიკე ვარშავი", „ეოლნეკ ვოლნოსტი" და პოლონეთის სხვა ცენტრალური გაზეთები პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ბეჭდავენ სსრ კავშირის მთავრობის განცხადებას განიარაღების საკითხზე. ამასთან ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი ნაბიჯი ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას საქმეს. „ტრიბუნა ლუდუ" სათაურად წერს „1957 წლის 1 მაისამდე საბჭოთა კავშირი 1.200 ათასი კაცით შეამცირებს თავის შეიარაღებულ ძალებს". „ეტიკე ვარშავი" ბეჭდავს განცხადებას სათაურით „წვლილი განიარაღებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში".

თავის კომენტარებში „ტრიბუნა ლუდუ" ამ გადაწყვეტილებას აფასებს როგორც დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს მშვიდობის ინტერესებისათვის.

გაზეთი დასძენს დასავლეთის წრეებს, რომლებიც ცდილობენ „საფრთხე" დაინახონ ამაში, რომ საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად ამცირებს თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვს.

რუმინეთი

ბუქარესტი, 15 მაისი. (საკდესი). რუმინეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა დღეს სსრ კავშირის მთავრობის განცხადება განიარაღების საკითხზე. გაზეთებმა ამ განცხადებას წარუმძღვარეს სათაურები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის ეს აქტი დიდმნიშვნელოვანი წვლილია განიარაღების პრობლემის გადაჭრაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

იუგოსლავია

ბელგრადი, 15 მაისი. (საკდესი). იუგოსლავიის გაზეთები „ბორბა" და „პოლიტიკა" პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ბეჭდავენ თავიანთი მოსკოველი კორესპონდენტების გადმოცემით განიარაღების საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის განცხადების შინაარსს. „ბორბა" ხაზგასმით აღნიშნავს განცხადების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვის მორიგი შემცირების შესახებ ნაკარნახევია სურვილით — ახალი წელილი შეიტანოს განიარაღებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, იგრეთვე მისწრაფებით — კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნას მშვიდობიანი სამეურნეო, კულტურული მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში.

საფრანგეთი

პარიზი, 15 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მთავრობის განცხადებამ განიარაღების საკითხზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში. ამავე დროს მან გამოიწვია უკიდურესი მემარჯვენე გაზეთების კომენტატორთა დაბნეულობა, რომელნიც მიეჩვევნენ „ცივი ომის" სულისკვეთებით წერას. ისეთი ორგუმენტების ნაკლებობის გამო, რომლებითაც შეიძლება დაასაბუთონ თავიანთი გეზი, რომელიც ირსებითად, გამალებული შეიარაღების გაძართლებას წარმოადგენს, „ფიგარო" და ზოგიერთი სხვა რეაქციული გაზეთი სსრ კავშირმა შეიარაღებული ძალების შემცირებას აცხადებენ... „პროპაგანდად". პრესის ეს ორგანოები აცხადებენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს თითქოს „არ შეუძლიათ" ანალოგიური საპასუხო ნაბიჯები გადადგან ისე, რომ არ გასწიონ „თავიანთი თავდაცვისუნარიანობისათვის" ძირის გამოთხრის რისკი. მემარჯვენე გაზეთები აშკარა გაჯავრებით აღიარებენ, რომ საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯებს კეთილსასურველი გამოხმაურებით ხვდება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

გაზეთი „ლიბერასიონი", მიესალმება რა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. წერს რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვეს თავიანთი ფინანსიერ-ბადებებზე განიარაღების შესახებ, როგორც კი ამ წინადადებებს მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირმა, გაზეთი განაგრძობს: „მაშინ... მოსკოვმა გადაწყვიტა მარტო გადადგას ნაბიჯი განიარაღების იმ გეგმის განხორციელების გზაზე, რომელიც მან წარადგინა. ეს, რა თქმა უნდა, გამოწვეულია, რომელიც ვერავის ვერ ჩაუნერგავს შიშის გრძნობას. ამჯერად მეტად ძნელი იქნება პასუხის გაუცემლობა... სიმართლე ცნობილი ხდება: სსრ კავშირს არა სურს ომი... დასავლეთისათვის სულ უფრო ძნელი იქნება შეინარჩუნოს თავისი უდიდესი სამხედრო ბიუჯეტები".

გაზეთ „ლუმანიტეს" კომენტარებში აგრეთვე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება იმის ახალი კონკრეტული დადასტურებაა, რომ საბჭოთა მთავრობა მშვიდობას ესწრაფვის. „სოციალიზმის ბანაკის ძლიერება, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის ძალა, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის გაჭანება უდევს საფუძვლად ასეთ გადაწყვეტილებას, — წერს „ლუმანიტე". — ჩვენს დროს შესაძლებელი გახდა თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე, შესაძლებელი გახდა განვამტკიცოთ მშვიდობიანი თანაარსებობა — ყველა სახელმწიფოს ურთიერთობის საფუძველი, — რასაც ესწრაფვის საბჭოთა კავშირი, ასრულებს რა ლენინის ანდერძს".

გაზეთი აცხადებს, რომ „მოსკოვის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა ჭეშმარიტად ისტორიული იქნება".

პარიზი, 15 მაისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო იუწყება: საბჭოთა გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები 1.200 ათასი კაცით შემცირდეს, კმაყოფილებით შეხვდნენ საფრანგეთის ავტორიტეტული წრეები. აღნიშნულ წრეებში განაცხადეს, რომ ახლანდელი მთავრობა საბჭოთა მთავრობის ამ ნაბიჯს მიესალმება, როგორც საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების საქმეში შეტანილ წვლილს.

იტალია

რომი, 15 მაისი. (საკდესი). იტალიის პროგრესული პრესა მხურვალედ მიესალმება სსრ კავშირის მთავრობის განცხადების განიარაღებას საკითხზე. „უნიტა" ბეჭდავს ცნობას ამ განც

უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის მთავრობის განცხადების გამო განიარაღების საკითხზე

(დასასრული)

განიარაღების დარგში. მაგალითად, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ლოურენსი, აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა კავშირს საზოგადოებრიობის თვალში სურს მშვიდობა, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები „მთავარ ყურადღებას აქცევენ სამხედრო კავშირებს“, გულმოსული წერს, რომ „ბევრი ამერიკელი და მათ შორის მთავრობის ზოგიერთი კრიტიკოსი... იმეორებს კომუნისტურ კრიტიკას“.

გაზეთების ცნობებიდან და კომენტარებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბავლენიან წრეებს არა სურთ საპასუხო ნაბიჯები გადადგან განიარაღების დარგში. როგორც გაზეთი „დეილი მირორი“ იუწყება, თავდაცვის მინისტრმა ვილსონმა და აღმირალმა რედფორდმა სენატის წევრობისაგან გამოსვლის დროს დაგმეს საბჭოთა მთავრობის განცხადება და უწოდეს მას... „ხაფანგი“. „ირიშის მაღალი თანამდებობის ოფიციერთა“ „შიშზე“ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იუწყება „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი შმიდტი. შმიდტი წერს, რომ შეერთებული შტატები „სკეპტიკურად“ ეკიდებიან საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

ზოგიერთი ოფიციალური წრეების წარმომადგენლებმა. იუწყება იუნაიტედ პრესის საგენტო განაცხადეს, რომ, მიუხედავად რუსეთის განცხადებისა, რომ განზრახული აქვს უახლოეს ერთ წელიწადში 1.200 ათასი კაცით შემციროს თავისი შეიარაღებული ძალები, დასავლეთის სახელმწიფოებისათვის „საშიში იქნება“ მკვეთრად შემცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალები.

გაზეთების მიმომხილველნი, ცდილობენ რა საეჭვო გახადონ საბჭოთა ნაბიჯების გულწრფელობა, სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, რათა გაავრცელონ ყოველგვარი სულელური მონაჭორი იმის თაობაზე, თუ რა მიზეზებმა გადაწყვეტინა სსრ კავშირს მთავრობას საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი შვარცი თავს არ იწუხებს დასამტკიცებელი საბუთების მოყვანით და ამბობს, ეს გადაწყვეტილება „შინაეკონომიურმა სიძნელეებმა“ გამოიწვიაო. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი უორნერი, მიუხედავად იმისა, რომ განცხადების ტექსტი საკმაოდ ნათელია, ამტკიცებს, თითქოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირება გამოიწვევს... შეიარაღების გადიდებას (!?). „საბჭოთა კავშირი, — წერს უორნერი, — ადამიანთა კონტინგენტების ნაკლებობას განიცდის, მაშინ როცა იგი ცდილობს გადიდოს ყველა ტიპის იარაღის წარმოება, დაწყებული საჰაერო-საზღვაო ხომალდებით და დამთავრებული თვითმფრინავებითა და ატომგულის იარაღით“. სისულელის რეკორდს აწყარებს იმავე გაზეთის კორესპონდენტი ლოურენსი, რომელიც მოუწოდებს არ მისცენ მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის მიერ შეიარაღებული ძალების შემცირებას, რადგან, ამბობს იგი, სსრ კავშირში „ძნელია გარკვევა, თუ სად იწყება და სად თავდება არმია“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტ რესტონს, რომელიც ითვალისწინებს, თუ რა გავლენას იქონიებს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება მსოფლიო საზოგადოებრიობაზე, სურს შექმნას შთაბეჭდილება, რომ განიარაღების წინააღმდეგი არც ამერიკის შეერთებული შტატები არიან. „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, წერს რესტონი, „ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შესაძლებელია, რათა დამტკიცოს, რომ შეერთებული შტატები ისწრაფვიან ხელი შეუწყონ ახლანდელ ტენდენციას განიარაღების შეზღუდვისადმი. ვაშინგტონის ოფიციალური თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ყველამ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „შენარჩუნებულ იქნება ძალთა „გონივრული წონასწორობა“, ასეთი წონასწორობა შეიძლება დაწესდეს უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე ამჟამად. ვაშინგტონი არ ფიქრობს საერთო განიარაღებაზე წინანდელი, ომამდელი აზრით. იგი ფიქრობს შეიარაღების შეზღუდვას დაბალ დონეზე, რომელიც შეიძლება ისე დაწესდეს, რომ ამასთან არ დაზარალდეს უშიშროება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა სურს შეიარაღების უმდენად ძლიერი შეზღუდვა, რომ რუსებმა შეძლონ მიაღწიონ თავიანთ მიზანს — დაანგრიონ დასავლეთ ევროპის თავდაცვის სისტემა, რომელიც ნატო-მ შექმნა. ფიქრობენ, რომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე. რომელიც იმალება ახლანდელ მდგომარეობაში, რამდენადაც საბჭოთა განცხადებას და დასავლეთ ევროპის ყველაზე-ში არსებულ სურვილს — შეიმცირონ სამხედრო ხარჯები, შეიძლება მოჰყვეს ნატო-ს თავდაცვის თანდათანობითი დაშლა. ამიტომ აქ დიდი ენთუზიაზმთა როდი გამოეხმაურნენ განცხადებას. ვაშინგტონს განზრახული აქვს შეინარჩუნოს თავისი „უნარი მასირებული საპასუხო დარტყმების მიყენებისა...“

როგორც ჩანს, მსჯელობა ომის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან შეამცირონ თავიანთი შეიარაღება, რესტონს იმისათვის დასჭირდა, რომ გაამართლოს ამერიკის ახლანდელი პოლიტიკა — განიარაღებაზე უარისთქმის პოლიტიკა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 15 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობისა და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის მთავრობის განცხადება განიარაღების საკითხზე. დემოკრატიული პრესა ცნობებს დოკუმენტის შესახებ აქვეყნებს ცენტრალურ ადგილზე დიდი სათაურებით. „ნოიეს დოიჩლანდი“ უკეთებს სათაურს „მშვიდობისადმი საბჭოთა კავშირის მისწრაფების დამაჯერებელი დადასტურება. სსრ კავშირი ახდენს 1,2 მილიონი კაცის დემობილიზაციას“.

მოჰყავს რა განცხადების შინაარსი, გაზეთი გამოჰყოფს იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებაზე შეამციროს 1957 წლის 1 მაისამდე შეიარაღებული ძალების რიცხვი 1.200 ათასი კაცით, გარდა იმ 640 ათასი კაცისა, რომლებიც მან შეამცირა 1955 წელს; დაშალოს 63 დივიზია და ცალეული ბრიგადა, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი 3 საავიაციო დივიზია და სხვა საბრძოლო ნაწილები, რომელთა რიცხვი 30 ათას კაცს აღემატება; დაშალოს საბჭოთა არმიის სამხედრო სასწავლებელთა ნაწილი; კონსერვაციაზე იყოლიოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის 375 საბრძოლო ხომალდი; შეამციროს შეიარაღება და ხარჯები სამხედრო საჭიროებებისათვის.

„ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის განიხილოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების საკითხი, თუ დასავლეთის სახელმწიფოები, თავის მხრივ, განახორციელებენ თავიანთი შეიარაღებული ძალების შესაბამის შემცირებას.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 15 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მშრომელნი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის მთავრობის განცხადებას განიარაღების საკითხზე. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს განცხადება. „რუდე პრავო“ წერს: მაშინ როცა ზოგიერთი წრეების მიზეზით დასავლეთში განიარაღების შესახებ წარმოებს დაუსრულებელი კამათი, რომელიც არავითარ რეალურ შედეგს არ იძლევა, საბჭოთა მთავრობა ამ საკითხის გადასაწყვეტად ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა მოთხოვნას, განაგრძობს გაზეთი, რომ იარაღის ნაცვლად იქმნებოდეს მშვიდობიანი შრომის საშუალებები, ყველა დიდ სახელმწიფოთაგან მხოლოდ საბჭოთა კავშირმა უპასუხა არა სიტყვებით, არამედ საქმეებით. ვერავინ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ საქმე ეხება საბჭოთა კავშირის ფულწრფელ მშვიდობისმოყვარულ ღონისძიებას.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა

ბონი, 15 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მთავრობა რიგმა გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს მოსკოვიდან მიღებული ცნობა, რომ სსრ კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი 1957 წლის 1 მაისამდე 1,2 მილიონი კაცით.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა არმიის რიცხვის ამ შემცირებას უკვე წინ უძღოდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემცირება 640 ათასი კაცით და რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის განიხილოს თავისი შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების საკითხი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებიც შეუდგებიან თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირებას.

კომენტარს უკეთებენ რა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას მისი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიულ გაზეთებს არ ძალუძთ უარყონ ამ ნაბიჯის უდიდესი მნიშვნელობა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. ამავე დროს გაზეთი „გენერალ-ანციგერი“ რომელიც ბონში გამოდის, თავის მოწონავე სტატიაში ცდილობს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას მიაწეროს „პროპაგანდისტული“ და „ტაქტიკური“ მნიშვნელობა.

ამასთან ერთად, დასასრულ გაზეთი იძულებულია აღნიშნოს: „...შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ საბჭოთა განცხადება შთაბეჭდილებას მოახდენს მსოფლიოზე... ფედერალურ რესპუბლიკაში, მიუხედავად მთელი უნდობლობისა, მხოლოდ სასაცილოდ როდი უნდა აიღონ საბჭოთა დაპირება განიარაღების შესახებ ან როდი უნდა დაახასიათონ იგი როგორც „ახალი ხაფანგი“.

გაზეთი „დერ მიტაგიც“ აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება მისი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ „უაღრესად ქმედითია“. „ამით, — წერს „დერ მიტაგი“, — მართლაც თოფქვე იქნება უფრო ნაკლები რუსი, ვიდრე ამერიკელი“. გაზეთს მიაჩნია, რომ დასავლეთისათვის „კლავე მეტად მძიმე ან პირდაპირ შეუძლებელია“ იქნება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ნეიტრალური მსოფლიოს თვალში დასახოს როგორც „აუცილებლობა ან მოჩვენებითი დათმობა“.

პრეზიდენტ ვიდოს გამოსვლა მიუნიხზე ბელგრადში

ბელგრადი, 14 მაისი. (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ საფრანგეთიდან დაბრუნებისას სიტყვა წარმოთქვა ბელგრადში მიტინგზე, რომელიც გაიმართა ძმობისა და ერთობის მოედანზე. მან აღნიშნა, რომ კმაყოფილია საფრანგეთში მოგზაურობით და მოლაპარაკებით, რომელიც იქ წარმოებდა.

ცნობილია, თქვა ტიტომ, რა მიზნით მივდიოდით ჩვენ საფრანგეთში. ეს მიზანი შეესაბამება ჩვენს საერთო საგარეო პოლიტიკას, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ხალხთა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის პოლიტიკას, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკას. ეს მიზანია — გავაკეთოთ ყველაფერი, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს ახალი მსოფლიო კატასტროფის თავიდან აცილებას.

საფრანგეთში ესმით ეს ჩვენი მისწრაფება. საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკების მსვლელობაში ჩვენ ვიყავით გულწრფელნი, სწორედ ისევე, როგორც ისინი ჩვენს მიმართ. ჩვენ გავაცანით მათ ჩვენი პოზიცია, ჩვენი თვალსაზრისი, ხოლო მათ გაგვაცნეს თავიანთი პოზიცია და თავიანთი თვალსაზრისი. და ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს პოზიციები და თვალსაზრისები ბევრ არსებითად დიდმნიშვნელოვან საკითხში ერთმანეთს ემთხვევა. იქ შევეხეთ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას; ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, რას ფიქრობენ ისინი ამ პრობლემებზე — განიარაღების, ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის საკითხზე, აღმოსავლეთს ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემაზე და ზოგიერთ სხვა საკითხზე. საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებს ესმით და, ჩვენთვის სასიამოვნო იყო ამის გაგება, ჩვენი პოლიტიკა, მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკა.

ჩვენ იქ გაგვიგეს, რადგან დარწმუნდნენ, რაოდენ გულწრფელია ჩვენი მისწრაფება და მტკიცება, რომ ამ ურთიერთობის გაუმჯობესება, ჩვენს ქვეყანასა და ამ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის შექმნა დიდი წვლილია მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარების საქმეში. ეჭვები და ფიქრები, რომ ჩვენ ახლა ვცვლით ჩვენს საგარეო პოლიტიკას (თუ ასეთი ეჭვები ვინმეს ჰქონდა), ადვილად შეგვეძლო გაგვეფანტა, რადგან ჩვენ იქ გაგვიგეს.

მეორე მხრივ, ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იყო იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეების შეხედულებანი საკითხებზე ემთხვევა ერთმანეთს ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში და განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის საკითხში. სწორედ ასევე ემთხვევა ერთმანეთს ჩვენი შეხედულებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა ვიხმაროთ მაქსიმალური ღონისძიებანი, რათა მივაღწიოთ გარკვეულ პროგრესს განიარაღების საკითხში. ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო დაწვრილებით შეხებოდით საკითხს, გველაპარაკა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში: ჯერ უნდა განხორციელდეს განიარაღება, ხოლო ამის შემდეგ გადაწყდეს საერთაშორისო პრობლემები, თუ ჯერ უნდა გადაწყდეს საერთაშორისო პრობლემები. ხოლო ამის შემდეგ დაიწყოს განიარაღება. ჩვენ მოგვაჩნია, რომ ასეთი დისკუსია და საკითხის ასე დაყენება არ უწყობს ხელს ამ პრობლემის გადაჭრის დაჩქარებას, და რომ საჭიროა შევუდგეთ იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას უფრო მალე, ვიდრე სხვა საკითხები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს საკითხები. ჩვენ შეგვეძლო შთაბეჭდილება, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა ტიტომ, რომ ფრანგებს კვლავ სურთ გველაპარაკონ გულახდილად, რომ ისინი ისეთივე გრძნობებით არიან გამსჭვალული ჩვენს მიმართ, როგორითაც იყვნენ წარსულში. ისინი იცნობენ ჩვენს ხალხს, მის თანმიმდევრულ შეხედულებებს მშვიდობის შენარჩუნების საკითხში და ამიტომ ცდილობენ დაამყარონ ჩვენთან კიდევ უფრო მტკიცე და მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ყველა დარგში, სადაც ეს შესაძლებელია, — კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და სხვა დარგებში.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ჩვენ ვიყავით საფრანგეთში, რათა მიგვეღწია, რომ მას უარი ეთქვა თავის მოვალეობათა შესრულებაზე ზოგიერთ საკითხში. არა, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეები დარწმუნდნენ, რომ ჩვენ არა გვქონდა ასეთი განზრახვა. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გულახდილად გვეთქვა მათთვის, რომ ვიცით მათი ვალდებულებანი, ვიცით, რა შეუძლიათ და რა არ შეუძლიათ მათ გაკეთებინ, რათა ამრიგად იმ საკითხებში, რომლებშიც ჩვენ გვაქვს საერთო შეხედულებანი, შეგვეძლოს ერთად გამოვიდეთ საერთაშორისო ასპარეზზე.

მე აგრეთვე დავრწმუნდი, თქვა ტიტომ, რომ ბევრ პრობლემაზე, რომლებიც პირველი შეხედვით განსაკუთრებით ძნელი გვეჩვენება, საფრანგეთის პოზიცია შეუდრეკელია, და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებს მეტად რეალისტური შეხედულებები აქვთ მათი გადაჭრის აუცილებლობაზე. დავრწმუნდი, რომ ამ საკითხებში საერთაშორისო ასპარეზზე ადვილი იქნება გამოვნახოთ საერთო ენა და დავამყაროთ თანამშრომლობა საფრანგეთის პასუხისმგებელ მოღვაწეებთან.

ინგლისის თემთა პალატაში

ა. იდენის განცხადება კრების საქმეზე

ლონდონი, 15 მაისი. (საკდესი). ლეიბორისტული ოპოზიციის ინიციატივით გუშინ თემთა პალატაში გაიმართა კამათი იმ მოქმედების საკითხზე, რაც ჩაიდინა ინგლისელმა მეკონისტამ კრებმა, როცა პორტსმუტში იდგნენ საბჭოთა სამხედრო ხომალდები, რომლებითაც ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში ჩავიდნენ მეგობრული ვიზიტით.

მყენინთავის გამოჩენა საბჭოთა ხომალდების ახლოს საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა მიიჩნიეს „წყალქვეშა ჯაშუშობის ოპერაციად“, რამაც აღშფოთება გამოიწვია ინგლისში. ლეიბორისტული ოპოზიციის ხელმძღვანელობამ ისარგებლა ამ ინციდენტით, რათა გაეკრიტიკებინა ინგლისის მთავრობის პოლიტიკა და მისთვის ბრალად დადო, რომ იგი საკმაო კონტროლს არ უწევს უშიშროების ორგანოებს. სწორედ ასეთი ხასიათისა იყო ოპოზიციის ლიდერის ჰეიტსკელის გამოსვლა, რომელმაც კამათი დაიწყო.

პრემიერ-მინისტრმა იდენმა პასუხად განაცხადა, რომ არ აპირებს განიხილოს საკითხები, რომლებიც საიდუმლო სამსახურს ეხება. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ერთი სიტყვასაც ვერ დაუმატებს იმას, რაც 9 მაისს თქვა. მაშინ მან ნათლად გააგებინა ყველას, რომ ის, რაც გაკეთდა, გაკეთდა მინისტრების უსანქციოდ. „ეს ეხება მისი უდიდებულესობის ყველა მინისტრს, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — და ამ საქმის ყველა ასპექტს“.

იდენმა განაგრძო: „იმ დროს მე და ჩემი კოლეგები დიდმნიშვნელოვან მოლაპარაკებას ვაწარმოებდით საბჭოთა ხელმძღვანელებთან. ჩვენ სრულიად არაფერი არ ვიცოდით რაიმე ამგვარ ეპიზოდზე. მე რომ ამაზე სრულიად არაორჭოფულად არ განმეცხადებინა საჯაროდ, საეჭვო გახდებოდა გულწრფელობა ჩვენი პოზიციისა ამ მოლაპარაკების დროს“.

დასასრულ იდენმა თქვა: „ამ საკითხში მე ვემყარები არა მარტო ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. აქ საქმე ეხება მეტად დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო ინტერესებსაც. უნდა ვაღიარო, მე ვზრუნავ იმისათვის, რომ საბჭოთა ხელმძღვანელებთან ჩვენი მოლაპარაკების შედეგები ნამდვილად აღმოჩნდეს იმ დასაწყისად, რომელზეც მე ვილაპარაკე. მე ვაპირებ ეს შესაძლებლობა დავიცვა, რადაც უნდა დაჯდეს. იმედი მაქვს, რომ ასეთსავე პოლიტიკაზე ფიქრობენ საბჭოთა ხელმძღვანელებიც. ამიტომ მწუხარებას გამოვთქვამ ახლანდელი კამათის გამო და მეტს აღარაფერს ვიტყვი“.

ოპოზიციის რეზოლუცია, რომელიც მთავრობას კიცხავდა, უარყოფილ იქნა 316 ხმით 229 ხმის წინააღმდეგ.

მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია

15 მაისს მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია სახალხო პალატის თავმჯდომარის დოქტორ იოჰანეს დიკმანის მეთაურობით. სამშობლოში მიმავალი დელეგაცია გავლით ეწვევა რიგასა და მინსკს. დელეგაციას ახლავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იოჰანეს კენიგი.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ლებედევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ე. ავხიმოვიჩი, ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარე მ. ა. გედვილინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის წევრები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

გამგზავრების წინ იოჰანეს დიკმანმა აეროდრომზე გააკეთა შემდეგი განცხადება:

— პატივცემულო, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო და ამხანაგებო! როდესაც ჩვენ სამი კვირის წინათ დავიწყეთ ჩვენი მოგზაურობა, დიდი მოლოდინით ვიყავით ლსავსენი. მაგრამ იმან, რაც ვნახეთ, ჩვენს ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. საბჭოთა კავშირში ყოფნის ეს სამი კვირა ჩვენთვის იყო გერმანია-საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობის დღესასწაული. ამისათვის დიდ და გულითად მადლობას ვუძღვნით თქვენს ხალხს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ყველაფერს ვუამბობთ ჩვენს ხალხს.

ჩვენმა აქ ჩამოსვლამ ცხადყო, რომ ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობა და განუყრელი კავშირი მარად მტკიცე და საიმედო იქნება.

გაუმარჯოს დიდ, მძლავრ საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს ჩვენი ხალხების ურღვევ მეგობრობას! გაუმარჯოს მშვიდობას! (საკდესი).

კომუნიკე

თევზჭერის საკითხებზე და იმ პირთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხზე, რომელთაც ზღვაში უბედურება შეემთხვევათ. სსრ კავშირსა და იაპონიას შორის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

29 აპრილიდან 14 მაისამდე მოსკოვში წარმოებდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დელეგაციებს შორის წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზჭერის საკითხებზე და ამ პირთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხზე, რომელთაც ზღვაში უბედურება შეემთხვევათ.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრი ა. ი. ბოკოვი, ხოლო იაპონიის დელეგაციას—იაპონიის მაწარმოებელთა და ტყის მინისტრი ი. კონო.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა ზედმიწევნით განიხილეს წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზჭერის რეგულირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი და საჭიროდ ცნეს მიღებულ იქნას შესაბამისი შეთანხმებული ღონისძიებანი სარეწაო ობიექტების, მათ შორის შორეული აღმოსავლეთის ორგულის მაქსიმალური და მყარი თევზაბროდუქტიულობის დასაცავად.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ურთიერთგაგებისა და გულწრფელობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, 1956 წლის 14 მაისს ხელი მოაწერეს თევზჭერის კონვენციას და შეთანხმებას იმ პირთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელთაც ზღვაში უბედურება შეემთხვევათ.

კონვენციასა და შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ ისინი ძალაში შევლენ საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს ან სსრ კავშირსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დღეს.

ამასთან დაკავშირებით ა. ი. ბოკოვმა და ი. კონომ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხზე და შეთანხმდნენ, რომ კონვენციასა და შეთანხმების რაც შეიძლება მალე ძალაში შესვლის მიზნით საჭიროა უახლოეს დროში, მაგრამ არაუგვიანეს 1956 წლის 31 ივლისისა, განახლდეს მოლაპარაკება სსრ კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური
ა. ბოკოვი.

იაპონიის დელეგაციის მეთაური
ი. კონო.

პრეს-კონფერენცია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში

ვაშინგტონი, 15 მაისი. (საკდესი). მორიგ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტში სახელმწიფო მდივანმა დალესმა წაიკითხა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის იმ განცხადებას, რომ იგი აპირებს შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები წლის განმავლობაში 1,2 მილიონი კაცით, „თუ ეს იქნება იმის დამადასტურებელი, რომ იგი უარს ამბობს საერთაშორისო საქმეებში ძალის გამოყენებაზე“. სახელმწიფო მდივნის განცხადებაში შემდეგ არის ცდა საბჭოთა მთავრობის ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი აუხსნას მეორეხარისხოვანი მოტივებით და მათ შორის საბჭოთა კავშირის შინაგანი ეკონომიკის მოთხოვნილებებით.

დალესი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატების წინადადებანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების საკითხზე თითქოს „იმაზე მეტია, რაც წამოაყენა საბჭოთა კავშირმა“. აცხადებს რა, რომ შეერთებული შტატები „მუდამ მზად არიან შეუერთდნენ საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს იმ პროგრამის განხორციელებაში, რომელიც საშუალებას მისცემს მთელ მსოფლიოს განაზორციელოს შეიარაღების ტვირთის შემდგომი შემცირება მტკიცე რწმენისა და უშიშროების პირობებში“, და „კონტროლს დაუქვემდებარონ ატომგულის საფრთხე“, დალესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ იცავენ „ღია ცის“ (ე. ი. ეგრეთწოდებული ურთიერთ საჰაერო ინსპექციის. — **რედ.**) თავიანთ გეგმას.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, დალესმა განავითარა დებულებები, რომლებსაც შეიცავს მისი განცხადება.

ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲠᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲝᲬᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲒᲘᲒᲔᲚᲝᲠᲝᲤᲔᲚᲘ

სსრ კავშირის გუნდის გამარჯვება

პრაღა, 15 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პრაღაში გაიმართა მშვიდობის IX ველორბოლის ფინიში. უკანასკნელი ეტაპი ბრნო-პრაღა მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა კლეკოვამ, რომელმაც მნიშვნელოვნად გაუსწრო სხვა მრბოლელს.

საბჭოთა სპორტსმენებმა ყველა ეტაპის ჯამით პირველი საერთო გუნდური ადგილი დაიკავეს. ეს შესანიშნავი წარმატება სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა დაძაბული, განსაკუთრებით მედგარი ბრძოლით, რამაც 14 დღეს გასტანა. საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება მათი კარგი ფიზიკური მომზადების, ტაქტიკური ხერხების სხვადასხვაობის, მთელი გუნდის დიდი დარაზმულობისა და გამარჯვებისადმი მისწრაფების შედეგია.

მეორე ადგილზეა პოლონეთის მეტად ძლიერი გუნდი, რომლის ნიჰიერმა წარმომადგენელმა კრულიაკმა პირველი ადგილი დაიკავა პირად პირველობაში; მესამე ადგილზეა ბელგიის შეწყობილი გუნდი.

პირად პირველობაში მეორე ადგილზეა ლუმიტრესკუ (რუმინეთი), მესამეზე — კოლუმბეტი (სსრ კავშირი).

...იწყება გამარჯვებულთა პატივისცემის ცერემონია. ექვსივე საბჭოთა სპორტსმენი, რომელნიც დაფნის გვირგვინებით შეამკეს, ტაშისა და მისალმების გრიალში ცენტრალურ ადგილს იკავებს სპატიო კვარცხლბეკზე. შემდეგ მათ შეასრულეს სამატიო წრე.

რბოლის უკანასკნელ ეტაპზე გამარჯვებულმა კლეკოვამა საკდესის სპეციალურ კორესპონდენტს განუცხადა: ჩვენ ყველანი ძლიერ მოხარული ვართ, რომ დიდი სპორტული წარმატება მოვიპოვეთ. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა იმის შეგნება, რომ გავიმარჯვეთ შეჯიბრებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველაზე კეთილშობილური და ყველაზე ჰუმანური იდეა — მშვიდობის იდეა.

სსრ კავშირის პირველობაზე

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘ

მოსკოვი. 16 მაისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა XVIII ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

სვერდლოვსკი. 16 მაისი. სსრ კავშირის 1955 წლის თასის მფლობელი მოსკოვის ცდსა სვერდლოვსკში შეხვდა ადგილობრივი ოფიცერთა სახლის გუნდს. გაიმარჯვა ცდსა-მ 1:0.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრების მეხუთე ტური.

ამ დღეს პარტიათა ნახევარი ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ ვაისბერგი-ბელოცერკოვსკაია, ტიხომიროვა-გაფრინდაშვილი, ანიშჩენკო-მატვეევა და როზენტალ-ბაკაურიძე.

ტიხომიროვა-გაფრინდაშვილის პარტიაში შავებმა დებიუტაში მოიგეს პაიკი, რის შემდეგ გარდა კუსი ყველა